

ჰაიატი სოტომა (იაპონია)

„მგზავრის წერილების“ პაროდია და ირონია პოსტკოლონიალური თვალსაზრისით

ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში პოსტკოლონიალიზმი, რომლის შესწავლა ე. საიდის „ორიენტალიზმით“ დაიწყო, აკრიტიკებს კოლონიურ მდგომარეობაში შექმნილ ნაწარმოებებს, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ იმპერიალისტული კოლონიზაცია დღეს თითქმის აღარ არსებობს, იმდროინდელი კოლონიური – პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სტრუქტურა დღემდე შემორჩენილი და ცოცხალია.

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის რუსული ლიტერატურის დიდმა ოსტატებმა (პუშკინმა, ლერმონტოვმა, ტოლსტოიმ და სხვებმა) კავკასიაში იმოგზაურეს და მოგვიანებით კავკასიის შესახებ პოემები და პროზაული ნაწარმოებები დაწერეს, რომლებიც დიდ ზეგავლენას ახდენდა რუს მკითხველზე. ასეთი ზეგავლენა თანდათანობით ლიტერატურულ ტრადიციად იქცა, რომელსაც საიდა „ორიენტალიზმი“ დაარქვა და რომლის თანახმად, ხალხში სხვა ერის შესახებ ლიტერატურულ ქმნილებათაგან დამკვირვებელი გარკვეული სტერეოტიპი ყალიბდება. საიდის აზრით, ეს კულტურული ტრადიცია მხოლოდ ლიტერატურულ ფანტაზიაში კი არ არის წარმოსახული, არამედ ყოველთვის უკავშირდება რეალურ პოლიტიკას – ამ ბოლო საუკუნეთა შემთხვევაში, იმპერიალიზმს. თუმცა ბევრი მკვლევარი აღიარებს, რომ რუსული ორიენტალიზმი არაა ისე მყარი, როგორც საიდის მიერ განხილული ევროპული ორიენტალიზმი. საიდის გაგებით, ევროპული ორიენტალიზმი არის დიქოტომია, რომელიც შედგება კეთილი, რაციონალური „დასავლური“ ევროპისა და ხიფათით სავსე, იდუმალი „აღმოსავლური“ აზიისგან. რუსული ორიენტალიზმი კი თვით რუსეთსაც არ მიიჩნევს სრულიად დასავლურად; მას ნახევარ-დასავლურად და ნახევარ-აღმოსავლურად აღიქვამს. ეს იმიტომ, რომ რუსეთს აზიური იდენტობაც აქვს და ამას დადებით მოვლენად თვლის. მაგალითად, პუშკინის „კავკასიის ტყვეში“, როცა ტყვემ ნახა, რომ ჩერქეზებმა თამაშით მოკლეს მონა, თავის ქვეყანაში ხშირად მომხდარი ველური დუელი გაახსენდა. ს. ლეიტონი ამ ეპიზოდს ასე განიხილავს: „ამ პოტენციურად მომავლდინებელი დუელის ხსენებით, რომლითაც რუსი ჯენტლმენები ერთმანეთს ანგარიშს უწორებდნენ, „კავკასიის ტყვე“ აკრიტიკებს „ცივილურ“ იდენტობას“ (Layton 1994: 95). აქედან შეიძლება ითქვას, რომ რუსული ორიენტალიზმი ამუშავებს არა დიქოტომიას „დასავლეთი-აღმოსავლეთი“, არამედ ტრიქოტომიას „დასავლეთი-რუსეთი-აღმოსავლეთი“, რომელშიც რუსეთი ხან დასავლეთისკენ იხრება, ხან კი – აღმოსავლეთისკენ.

საქმე ისაა, რომ წინა კვლევებმა შეიძლება გააანალიზოს რუსული ორიენტალიზმის ტრიქოტომიური ხასიათი და არ გაამართლოს საიდისეული ორიენ-

ტალიზმის გაგების უბრალო ადაპტაცია რუსეთში, მაგრამ ამ ტრიქოტომიაში მინც რჩება „აღმოსავლეთად“ ჩათვლილი ერები და ქვეყნები. ორიენტალიზმის ერთ-ერთი თვისებაა „აღმოსავლური“ ერთა ერთნაირი გაგება – ამ ერთა შორის არსებული განსხვავების უგულვებლყოფა. ჩვენ თუ გვინდა, ნინ წამოვწიოთ რუსული ორიენტალიზმისა და პოსტკოლონიალიზმის კვლევა, რუსულ ორიენტალიზმს მეორე – კოლონიზებული მხრიდან უნდა შევხედოთ. ღირებულია ერთი ციტატა, რომელშიც ერთი მკვლევარი აკრიტიკებს ამ ვითარებას: „ჩვენ (იგულისხმება რუსული ლიტერატურის მკვლევრები – ჰ. ს.) მიერ არარუსული ლიტერატურულ-ინტელექტუალური ტრადიციების უგულვებლყოფა საბჭოთა სივრცეში, უფრო სერიოზული პრობლემაა. პეტრესეული პარადიგმა – რუსეთის შემანუხებელი მუდმივი დამოკიდებულება დასავლეთისადმი – გვაბრკოლებს, ამ პარადიგმის მიხედვით შევხედავთ აღმოსავლეთს და რუსეთის აღმოსავლეთისადმი დამოკიდებულება გვაკმაყოფილებს“ (Ram 2006: 832).

როგორც ავტორი ამბობს, საკმარისი არაა პოსტკოლონიალიზმის კვლევებისთვის რუსულ ლიტერატურასა და კულტურაში აღმოსავლეთის წარმოსახვის გარკვევა, რომლის შედეგად ნებსით თუ უნებლიეთ „პეტრესეული“ ორიენტალიზმის პარადიგმაში ვვარდებით. პირიქით, უნდა შევეცადოთ, რომ გავარკვიოთ, თუ როგორ აღიქვამდნენ კოლონიზებული ერები კოლონიზატორი ერის ენასა და ლიტერატურას, და კოლონიზებულ ვითარებას. უნდა შევეცადოთ, რომ ქართული ლიტერატურა მხოლოდ ეროვნული ლიტერატურის კატეგორიით არ შევამციროთ და შევზღუდოთ.

ამ თვალსაზრისით განვიხილოთ მე-19 საუკუნეში შექმნილი პროზაული თხზულება „მგზავრის წერილები“, რომლის ავტორია ილია ჭავჭავაძე – ქართველი ერის უდიდესი წარმომადგენელია. თავისი ცხოვრების მანძილზე ის რუსული იმპერიის მიერ საქართველოს კოლონიზაციის წინააღმდეგ იღვწოდა. „მგზავრის წერილები“ მის ახალგაზრდობაშია დაწერილი, და აღიარებულია, როგორც „სამგზავრო დღიული და, ამავე დროს, ლიტერატურული მანიფესტი“ (Manning 2012: 29). ეს მანიფესტური ხასიათი დადასტურებულია იმითაც, რომ ილიას ერთ-ერთი ბოლო პოემის, „განდევლის“ ლაიტმოტივი უკვე ნაჩვენებია „მგზავრის წერილებში“ მცინვარისა და თერგის, დღისა და ღამის დაპირისპირებაში (მინაშვილი 1995: 326-327). ამიტომ მიჩნეულია, რომ „მგზავრის წერილებში“ ასახულია ყველა ამოცანა თუ საკითხი, რომლის გადაჭრასაც ილია ფიქრობდა, და ერთ-ერთი მათგანი, რასაკვირველია, არის საქართველოს კოლონიული მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ ილია კოლონიზებული ერის გადასარჩენად ცდილობდა ქართული ენის შენარჩუნებას, რომელსაც აღიარებდა ქართული ერის წინაპართაგან ერთ-ერთ „ღვთაებრივ საუნჯედ“, და მისი ერთ-ერთი უდიდესი ღვაწლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნებაა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ „მგზავრის წერილების“ შექმნისას იგი იყენებს ქართულის გარდა კიდევ ერთ, უცხო ენას – რუსულს. რასაკვირველია, კოლონიურ გარემოში კოლონიზატორის ენის, რუსულის გამოყენება ჩვეულებრივია, განსაკუთრებით ახლად შემოსული კონცეფციის გამოთქმაში. კონკრეტულ შემთხვევა-

ში ამის მაგალითად ითვლება „იამშჩიკი“, „პოვოსკა“, „ოფიცერი“ და ა. შ. მაგრამ მეტი ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ მოთხრობის ოთხ ადგილზეა რუსულის არა მხოლოდ ლექსიკური, არამედ წინადადებითი და თანაც რუსული დამწერლობითი გამოთქმა. პირველ თავში არის ამის ორი ნიმუში, მესამეშიც – ასევე, ორი.

რა შეიძლება ვთქვათ მოცემულ კონტექსტში? რატომ გამოიყენა ილიამ რუსული ენა თავის სოციალურ-ეროვნულ მანიფესტურ ნაწარმოებში? რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ გამოხატულებას?

ცნობილი კანადელი ლიტერატურათმცოდნე ლ. ჰატჩეონი პოსტმოდერნისტული თვალსაზრისით პაროდიისა და ირონიის ხასიათს იხილავს და ამბობს, რომ ირონია მაშინ კი არ იჩენს თავს, როცა ავტორი განიზრახავს ირონიის დანერგვას, არამედ მაშინ, როცა მკითხველი შეამჩნევს მას და აღიქვამს ირონიად. ამიტომაც, იმისთვის, რომ ავტორმა მკითხველს მიანიშნოს ირონიაზე, იგი იყენებს ირონიის ნიშნებს: პირველი, ფესტიკულაციური – თვალის ჩაკვრა, წარბების თამაში; მეორე, ფონეტიკური – ხველა, საუბრის სიჩქარე, ინტონაცია, ხმის ტონი; მესამე, გრაფიკული – ფრჩხილები, ასოების დახრა, გაკვირვების ნიშანი, კითხვის ნიშანი და ა. შ. ეს ნიშნები, როგორც ჰატჩეონი ამბობს, კონტექსტზე დამოკიდებული (და ამიტომ ირონია სათუთი და სახიფათოცაა), ამის მიხედვით ირონიის ნიშანი ფუნქციონირებს მეტა-ირონიულად, თუმცა ზოგი ნიშანი არა მხოლოდ მეტა-ირონიულად, არამედ სტრუქტურულადაც, რაც გულისხმობს იმას, რომ ნიშანი თვითონ ტექსტს აყალიბებს. „თუმცა, მხოლოდ მათ ფაქტობრივად შესწევთ უნარი იფუნქციონირონ სტრუქტურულად, რათა ხელი შეუწყონ ირონიის წარმოშობას სემანტიკური და შემფასებლური თვალსაზრისით“ (Hutcheon 1994: 149) და ამის ნიმუშად იგი თვლის: „(1) რეგისტრის ნაირფერი ცვლილება; (2) გაზვიადება/ სათანადოდ არ შეფასება; (3) წინააღმდეგობა/ შეუთავსებლობა; (4) ლიტერალიზაცია/ გამარტივება; (5) გამეორება/ მიმბაძველი ხსენება“* (Hutcheon 1994: 149-150). ჰატჩეონი აქ პირველი ნიმუშის ასახსნელად ეხება მხოლოდ სოციოლექსა და დიალექტს და არა უცხო ენას, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში რუსულის გამოყენება შეიძლება რეგისტრის ცვლილებად ჩაითვალოს. ამიტომაცაა, რომ, ასე ვთქვათ, განზრახად, „მგზავრის წერილების“ თითქმის მთელ ტექსტში გამოყენებული ქართულის მაგივრად გამოიყენება რუსული, და ამკარად იცვლება რეგისტრი, ასოების ცვლილებითაც.

თუკი „მგზავრის წერილებში“ რუსული წინადადებები არის ირონიის ნიშანი, რას გულისხმობს ამ ნიშნით განზრახული ირონია? მოთხრობის პირველი თავის დაბეჭდვა ცენზურამ მკაცრად აკრძალა მოთხრობის პირველი გამოცემისას 1871 წელს ჟურნალ „კრებულში“. ეს კი უკვე ნიშნავს იმას, რომ პირველი თავი რუსული იმპერიის ყველაზე ძლიერი კრიტიკაა. ილიამ დახატა რუსი „იამშჩიკისა“ და რუსული „პოვოსკის“ დამახინჯებული სახე. გავიხსენოთ რუსული ენის სტილი, რომელიც გამოყენებულია ამ ნაწარმოებში: „მაგრამ ამბობენ: И дым отечества нам сладок и приятен. კვამლის სიტკბოებაზე კი უკაცრავად, და სიამოვნებაზედ

* (1) various changes of register; (2) exaggeration/ understatement; (3) contradiction/ incongruity; (4) literalization/ simplification; (5) repetition/ echoic mention.

კი ამას მოგახსენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, – პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭერეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალისა და ცრემლის გვაცრევენებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვერა ვხედავთ“ (ჭავჭავაძე 1937: 247). ეს ფრაზა გრიბოდოვის ცნობილი პიესიდანაა „ვაი ჭკუისაგან“ და მერე აფორიზმის სახით გავრცელდა. მაგრამ უფრო საინტერესოა ის, რომ ამ ნაწილს ილიამ 1871 წლის საბოლოო რედაქციის დროს დაუმატა კვამლის სიამოვნების პირველი მიზეზი და ბოლო წონადადება (ჭავჭავაძე 1937: 716). პ. ინგოროყვა აღიარებს: „როგორც ვხედავთ, მგზავრის წერილების საბოლოო რედაქციაში – ილია არ ინდობს და ისარს ესვრის „მჟავე პატრიოტიზმსაც“, რომელიც „სამშობლოს კვამლის“ სიყვარულში ველარ არჩევს სინამდვილეს, ვერ ხედავს უბედურების ნამდვილს მიზეზებს და თავისი ქვეყნის კარგსაც და ავსაც ერთნაირად ეკიდება“ (ჭავჭავაძე 1937: 716). ცხადია, ამ დამატებული წინადადებებით ილიას უნდა ხაზი გაუსვას ირონიის მნიშვნელობას, რომელსაც რუსულად დაწერილი ერთი წინადადება გვატყობინებს. ამ შემთხვევაში კი თვითონ ავტორი დაწვრილებით ხსნის ამ ფრაზის („И дым...“) ირონიულ მნიშვნელობაზე და პაროდის ნიშანი – რუსული დაწერილობის ციტატა – მაინც არაა აუცილებელი.

თუმცა მეორე ნიმუშში კი ვხედავთ მის აუცილებლობას: იხატება იამშჩიკის ბრიყვი სახე და უხეში საქციელი. პოვოსკაში მთხრობლის ჩაჯდომის შემდეგ, იამშჩიკს უნდოდა დაეძრა ეტლი და შოლტი გადაჰკრა ცხენებს: „ცხენები მიდგნენ-მოდგნენ, მაგრამ ალაგიდან არ დაიძრნენ. Ну, чо-о-пти; трогай што-ли! დაიყვირა „იამშჩიკმა“, აიქნივა სადავენი და ფეხებითაც ტყაპუნე დაინყო“ (ჭავჭავაძე 1937: 248). ინგოროყვას თვალსაზრისით, „მგზავრის წერილების“ პოვოსკა და იამშჩიკი მკითხველს ახსენებს რუსი მწერალის გოგოლის „მკვდარ სულს“, რომლის ფინალში ავტორი აქებს ცარისტულ რუსეთს. როგორც ტროიკა და ცოცხალი იამშჩიკი, ისე რუსეთიც წინ მიისწრაფვის და სხვა ერები და სახელმწიფოები გზას უთმობენო. აშკარაა, რომ ილიამ გოგოლისეული სურათის მიმართ ირონიის საჩვენებლად დახატა პოვოსკა და იამშჩიკი. ლ. მინაშვილი სწორად გვაჩვენებს ამ ირონიის მნიშვნელობას და ინტერპრეტაციას ჩვენს მოცემულ კონტექსტშიც, როცა წერს: „თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აქ ევროპელი შემთხვევით არაა რუსეთის „წინსვლის“ შემფასებლად წარმოდგენილი, ისიც ნათელი გახდება, რა განზოგადებულ შინაარსს იძენს ეს ეპიზოდი. ჯერ ერთი, ეს ეპიზოდი თავისთავად აქამდე არნახული თვალსაჩინოებით და დამარწმუნებლობით წარმოაჩენს მეფის რუსეთის ტექნიკური ჩამორჩენილობისა და სრული უბადრუკობის სურათს. საცნობელია, რომ ტრანსპორტის რაგვარობა, სამიმოსვლო გზები ერთობ ნათლად და მჭევრმეტყველურად გვიჩვენებენ ქვეყნის ტექნიკურ დონეს. გარდა ამისა ამ ეპიზოდის დიდი განზოგადებული დატვირთვა იმაშია, რომ გოგოლის მიერ პოეტობირებული რუსეთის იმპერიის და მისი კისკისი მეფის წარმოდგენას ილია ჭავჭავაძე უნაცვლებს რუსეთის მდგომარეობის რეალურ სურათს“ (მინაშვილი 1995: 357). როგორც წერს, ილიამ დახატა ევროპასთან შედარებით კოლონიზატო-

რის, ცარისტული რუსეთის ტექნიკური ჩამორჩენილობა და სინამდვილე, რომლებიც გოგოლმა პოვოსკისა და იამშჩიკის სასიამოვნო სახით გადაფარა და დამალა, ამით ილიამ შეძლო შეწინააღმდეგებოდა რუსეთის კოლონიურ სუფევას და სუფევის ნარატივს – „აფიცრობა და ჩინოვნიკობა ბევრი მოდის რუსეთიდან თქვენს გასანათლებლად“ (ჭავჭავაძე 1937: 252).

პ. ინგოროყვამ გოგოლის ტექსტი ილიას ტექსტს შეადარა და ამით დაადასტურა, რომ ილია ნამდვილად ეკამათება გოგოლს. მკვლევარი ფიქრობდა, რომ ილიამ, ამ ირონიის მკითხველისთვის მისანიშნებლად, გოგოლის მსგავსი გამოთქმა დაწერა. „ილიას როგორც სჩანს არ სურდა, რათა ეს კამათი გოგოლთან, ვუალ-ჩამოფარებული და ოდნავ გასარჩევი ყოფილიყო, პირიქით, ილია სცდილა, რათა ეს კამათი შეუმჩნეველი არ დარჩენილიყო დაკვირვებული თვალისათვის, და ამიტომაც ილია სახეების ირონიულად შებრუნების დროს ხაზს უსვამს სწორედ იმავე დეტალებს, რასაც გოგოლი“ (ჭავჭავაძე 1937: 713). ამ შემთხვევაში ირონიის ნიშანი „გამეორება“ იქნება, რომელიც გასაგებია მხოლოდ იმ მკითხველისთვის, ვინც იცის გოგოლის „მკვდარი სულების“ ტექსტი. მაგრამ აქ ამ ცოდნის გარეშეც მკითხველმა კიდევ შეიძლება შეამჩნიოს ირონია სწორედ რუსულად დაწერილი წინადადებით, რომლის თანახმად იამშჩიკის რუსული ლანძღვა ენაცვლება არა მხოლოდ გოგოლის „მკვდარ სულებში“ ასახულ იამშჩიკის სიმღერას, არამედ საზოგადოდ რუსულ ლიტერატურაში ასახულ მის იერ-სახეს; მაგალითად, როგორც მინაშვილი მიგვანიშნებს, პუშკინის ლექს „ზამთრის გზაშიც“ ასახულია იამშჩიკი, რომელიც მღერის „გრძელ სიმღერას“ (მინაშვილი 1995: 356), ასევე, გარკვეული თვალსაზრისით, რუსულ ლიტერატურაში ტრადიციულად მომღერალი იამშჩიკი გარკვეულწილად რუსულ ნაციონალურ იდენტობას წარმოადგენს (Randolph 2007: 50-61). ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ილიას ირონია თავისთავად მიემართება გოგოლის ტროიკასა და მომღერალ იამშჩიკს, რომელშიც იკვეთება რუსულ ლიტერატურაში ტრადიციულად წარმოსახული რუსული ნაციონალური ხასიათი.

თუმცა უფრო საინტერესოა ის, რომ ზოგიერთ ნაწარმოებში, რომლის სცენა კავკასიაა, ჩანს ადგილობრივი იამშჩიკი. ლერმონტოვი თავის „ჩვენი დროის გმირში“, მაგალითად, მატყუარ მეეტლეებს ასახავს: „Ужасные бестии эти азиаты! Вы думаете, они помогают, что кричат? А черт их разберет, что они кричат? Быки-то их понимают; запрягите хоть двадцать, так коли они крикнут по-своему, быки все ни с места... Ужасные плуты! А что с них возьмешь?.. Любят деньги драть с проежающих... Избаловали мошенников! Увидите, они еще с вас возьмут на водку. Уж я их знаю, меня не проведут!“ (Лермонтов 1953: 172). აქ მეეტლეები ოსები არიან, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორიენტალიზმის ცრურწმენით „ამ აზიელში“ ქართველსაც – და ზოგადად ადგილობრივ კავკასიელს – მივიჩნევთ, ასევე „მგზავრის წერილებშიც“, სადაც რუსი ოფიცერი ურევს ქართველს და სომეხს და დასცინის ადგილობრივი ერების ჩამორჩენილობას. პ. ინგოროყვა გვიხსნის იმ ფაქტის მიზეზს, რომ ცენზურამ ოფიცრის სიტყვები „ესე იგი ქართველი თუ სომეხები“ ამოშალა. „ცენზურას აქ, ცხადია, დაუნახავს ერთგვარი დაცინვა დიდმპყრობელური ყოყოჩობისა“

(ჭავჭავაძე 1937: 718). ოფიცრის ასეთი დამოკიდებულება აშკარად ორიენტალიზმის ერთ-ერთი თვისებაა; „აღმოსავლური“ ერთა ერთნაირი გაგება – ამ ერთა შორის არსებული განსხვავების უგულვებელყოფა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ციტატაში ჩანს, ადგილობრივი მეეტლეები ატყუებენ რუს მგზავრს და ამით ისახებიან ბოროტ აზიელად, რომელიც უპირისპირდება გოგოლის რუსული ეროვნული ხასიათის მქონე მომღერალ იამშჩიკს. „მგზავრის წერილებში“ კი ილია რუს იამშჩიკს ათქმევინებს ისეთ სალანძღვა სიტყვას და აძლევს ისეთ ცუდ გარეგნობას, როგორც ლერმონტოვი ადგილობრივ მეეტლეს. ამიტომაც, „მგზავრის წერილებში“, პოვოსკისა და იამშჩიკის ეპიზოდში შეიმჩნევა ის ირონიული დამოკიდებულებები, რომელიც ილიას ჰქონდა არა მარტო გოგოლის მიერ ნაქები ცარისტული რუსეთის, არამედ მისი კოლონიალიზმისა და ორიენტალიზმის მიმართაც.

ამ თვალსაზრისით ასევე საყურადღებოა, რომ „მგზავრის წერილებში“ პოვოსკაზე მგზავრისა და იამშჩიკის დაპირისპირება პირიქითაა წარმოდგენილი. ეს ორთა შორის უთანაბრო ურთიერთობის იერარქიული სტრუქტურა უშუალოდ კოლონიალიზმისა და ორიენტალიზმის სტრუქტურას გულისხმობს. ილია ამ სტრუქტურას პაროდულად ამოატრიალებს და წერს: „იამშჩიკმა“ თავისი ძროხის თვალები ჩემკენ მწყრაღად მოაბრუნა და ისე მრისხანედ შემომიბღვირა, თითქო მემუქრებოდა: შენც ეგრეო“ (ჭავჭავაძე 1937: 248). ეს ის დაძაბული თვალია, რომლითაც ჩვეულებრივ კოლონიალურ გარემოებაში დაჩაგრული ხალხი კოლონიზატორს უცქერს. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ აქ იამშჩიკი რუსის ნაცვლად ადგილობრივია, ხოლო მგზავრი კი, ქართველის ნაცვლად, რუსი – ეს ნორმალური ვითარება იქნებოდა რუსულ ლიტერატურაში. ამიტომაც, ვთქვათ, რომ ამ მოთხრობაში წარმოდგენილი მგზავრისა და იამშჩიკის სქემა კოლონიური იერარქიის პაროდული გადაბრუნებაა.

რაც შეეხება ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირს“ – ირონიის მესამე ნიმუში სწორედ ამ რომანიდანაა. მესამე თავში რუსი ოფიცერი ამბობს: „ძალიან მიამა, რომ ქართველი ხართ. თუმცა ჩვენი ლერმონტოვი ამბობს, რომ *дежали робкие грузины*, მაგრამ მაინც ქართველები სჯობიან იმ პოიებსა“ (ჭავჭავაძე 1937: 252). ლერმონტოვს, როგორც ჩანს, ოფიცერი ეთანხმება და ამიტომაც იყენებს ამ სიტყვებს, რაც, რასაკირველია, ზემოთ მოცემული ცრუორიენტალიზმის ერთ-ერთი მაგალითია, და ამის მნიშვნელობას აღარ განვიხილავთ. უფრო თვალსაჩინო ის გახლავთ, რომ ილია „მგზავრის წერილების“ სხვა ადგილებშიც ლერმონტოვის ამ ნაწარმოებთან კამათობს პაროდით. „მგზავრის წერილების“ პირველ თავში ილია ასე წერს: „როცა ავიბარგე, ესე იგი ჩემი ერთად-ერთი ბოხჩის ოდენა ტყავის ხურჯინი ჩავაგდე პოვოსკაში, მივუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილს ფრანსიელს გამოსალმებლად“ (ჭავჭავაძე 1937: 247). ლერმონტოვი კი „ჩვენი დროის გმირს“ ასე იწყებს: „Я ехал на перекладных из Тифлиса. Вся поклажа моей тележки состояла из одного небольшого чемодана, который до половины был набит путевыми записками о Грузии“ (Лермонтов 1953: 172). აშკარაა, რომ ილია ლერმონტოვის გმირის ჩემოდნის პაროდის აკეთებს იმით, რომ ხაზგასმით იმეორებს „ესე იგი ჩემი ერთადერთი...“ შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ ილია ლერმონტოვის გავლენის ქვეშაც მოექცა „მგზავრის წერილების“ შექმნისას.

გადავიდეთ მეოთხე ნიმუშზე. მეოთხე ნიმუში ასევე მოცემულია მესამე თავში, სადაც რუსი ოფიცერი საუბრობს. ოფიცერი მგზავრს უხსნის თავის ოსტატურ გამოგონებაზე: ბუზებს ჩასხამს საშაქრეში და მომსახურე შაქარს ველარ პარავს. ოფიცერს არყის ქურდობის აღსაკვეთად ჯერ არ უპოვნია ასეთი ხერხი და ამბობს: „არყის ბოთლია ცი ვცადე ბუზების ჩასმა, მაგრამ ეგ წყეულები შიგ იხრჩობიან – гына не дуря“ (ჭავჭავაძე 1937: 254). როგორც წერია, რუსი ოფიცერი თავის გამოგონებას „სამეცნიეროდ“ აღიქვამს და სერიოზულად ამბობს: „გთხოვთ, თქვენც (იგულისხმება მგზავრი – ჰ. ს.) გაუნათლებელს მებატონეებს აცნობოთ“ (ჭავჭავაძე 1937: 254). აქაც, მისი აზრის კოლონიალიზმისა და ორიენტალიზმის ხასიათი ცხადად ჩანს. მაგრამ მისი სერიოზული საუბრისაგან განსხვავებით, ამ ბუზების ეპიზოდიდანაც შევამჩნევთ, რომ სინამდვილეში მისი აზრი და საუბარი, ისევე როგორც რუსული კოლონიალიზმი და ორიენტალიზმი, სულ უშიშარად ყოფილა; ნარატივის წინაპირობაა ის, რომ რუსეთი განათლებული ქვეყანაა, და ეს განათლება კი დასავლელი ევროპიდანაა გადატანილი. ამ თვალთახედვით რუსი ოფიცრის მიერ აღნიშნული სიტყვები – „ცივილიზაცია, ასოციაცია, არღმენტაცია, ინტელიგენცია, კასსაცია და ფილოსოფია“ (ჭავჭავაძე 1937: 252) – ევროპული განათლების სამაგალითო კონცეფციებს წარმოადგენს. ამიტომაც ოფიცერმა მგზავრს ჰკითხა, იცის თუ არა ეს სიტყვები. ამ უკანასკნელს თურმე უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და, რასაკვირველია, უფრო კარგადაც იცის ციტატის მნიშვნელობა, ვიდრე უაზრო ოფიცერმა... ვფიქრობთ, ოფიცრის მხატვრული სახე იმისთვისაა შექმნილი, რომ ავტორმა რუსული კოლონიალიზმის და ორიენტალიზმის დისკუსიის სიცრუე აჩვენოს; გამოააშკარავოს, რომ ევროპული განათლება სინამდვილეში რუსეთსაც კი არ მიუღია და არ შეუთვისებია სათანადოდ. იგივე თვალსაზრისი, რასაკვირველია, პირველ თავში ფრანგი მგზავრის სიტყვებშიც მჟღავნდება. აი, ესაა, რასაც ირონიის მეოთხე ნიშანს ვუნოდებთ.

ირონიის ამ ნიშნით შესაძლოა საგულისხმო იყოს ის ფაქტი, რომ თვითონ ოფიცერს ბუზებზე უარესი გემოვნება აქვს. როცა ოფიცერი მგზავრს სიტყვა „განათლების“ მნიშვნელობას ბნელი ოთახის მეტაფორით უხსნის, უცებ ჰკითხავს, სადაურია ჩაი და პაპიროსი, რომლითაც მგზავრი გაუმასპინძლდა. ოფიცერს ეგონა, რომ ჩაი მოსკოვურია და პაპიროსი კი – პეტერბურგული. სინამდვილეში ჩაი თურმე სტავროპოლში ყოფილა ნაყიდი და პაპიროსი კი – ვლადიკავკასში. ასე რომ, ოფიცერს დახვეწილი გემოვნება სულაც არ აქვს და მისი სიტყვები – „гына не дуря“ – ამ კონტექსტში საკმაოდ ირონიულად ჟღერს.

აქამდე იმას ვარკვევდით, თუ როგორ აისახება „მგზავრის წერილებში“ ცარისტული რუსეთი და საქართველოს კოლონიური ვითარება კოლონიზებული ერის პოზოციიდან, რომლის წარმომადგენლად ამ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძე მიგვაჩნია. „პეტერსეულ“ პარადიგმაში ჩავარდნის ასაცილებლად, გავიხსენოთ, რომ ჩვენი ინტერესი ისაა, თუ როგორ აღიქვამდნენ რუსეთის მიერ კოლონიზებული ერები, ამ შემთხვევაში – საქართველო, თავიანთ კოლონიზაციას.

„მგზავრის წერილებში“ ილია რუსეთის კოლონიური სუფევის სინამდვილეს პაროდითა და ირონიით აკრიტიკებს, და ირონიაზე მისანიშნებლად ე. წ. ირონიის

ნიშნებს იყენებს. პაროდიის ოთხი ნიშნიდან „მგზავრის წერილებში“ გამოყენებულია სხვადასხვა ტექსტიდან მასალის აღება და მისი შესაბამის კონტექსტში გამოყენება. გარდა იმისა, რაც აქამდე აღვნიშნეთ, პ. მანინგი კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, რომ შესაძლოა გრიბოედოვის სამგზავრო დღიურმა ზეგავლენა მოახდინა ილიაზე. „ი. ჭავჭავაძემ თავისი ნაწარმოების სათაურად და ჟანრად გამოიყენა რუსი რომანტიკოსი მწერლის, გრიბოედოვის მიერ იმავე მოგზაურობაზე გაცილებით ადრე, 1818 წელს დაწერილი „მგზავრის წერილები“ (რუსული სათაური Путевые заметки – ჰ. ს.), რომელიც გამოქვეყნდა ილიასეულ „მგზავრის წერილებზე“ სულ რამდენიმე წლით ადრე, 1859 წელს, რამაც ამ ნაწარმოებს უცნაური თანამედროვეობა შესძინა“ (Manning 2012: 39). რასაკვირველია, მოგზაურობის ჟანრი საყოველთაოა ყველა დროში და ყველა ადგილას: „მოგზაურობის ჟანრიც უძველესი დროიდანვე ერთობ გავრცელებული ჟანრია როგორც არამხატვრულ, ისე და მომეტებულად მხატვრულ ლიტერატურაში. ამ ჟანრს მიმართავდნენ სხვადასხვა ლიტერატურული ინტერესების და ესთეტიკურ-მხატვრული ამოცანების პირობებში“ (მინაშვილი 1995: 355). თუმცა, მანინგის თქმით, გრიბოედოვის მგზავრობის მიმართულება განსხვავებულია ილიასგან, ანუ მოგზაურობის ჟანრი იმითაა განსაზღვრული, რომ ავტორი სამშობლოდან უცხოეთში მოგზაურობს, ხოლო ილია პირიქით, უცხოეთიდან – სამშობლოში. „ი. ჭავჭავაძე ცვლის იმ მოლოდინს, რაც შეიძლება იყოს სათაურისა და ჟანრისაგან, ითავისებს უცნაური, ირონიულად განწყობილი მგზავრის როლს, რათა უკეთ შეიცნოს თავისი სამშობლო“ (Manning 2012: 39). ჩვენ არ გვაქვს საბუთი, რომელიც ადასტურებს, რომ ილიას ნამდვილად აქვს წაკითხული გრიბოედოვის დღიური და ამ დღიურმა ზეგავლენა მოახდინა „მგზავრის წერილებზე“. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ილიამ „მგზავრის წერილები“ შექმნა არა მხოლოდ რუსული ლიტერატურული ნაწარმოებების ზეგავლენის ქვეშ, არამედ, რასაკვირველია, ქართულისა, რომელთა შორისაც არის გრ. ორბელიანის „სალამო გამოსალმებისა“, „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერევნის სიახლოვეს“ (ინგოროყვა 1983: 238-239) და რუსთაველის ბრწყინვალე „ვეფხისტყაოსანიც“. მანინგი ამ მდგომარეობას, სხვათა შორის, ტერმინით „ლიტერატურული ნათესაობა“ სახელდება (Manning 2012: 39) ერთი სიტყვით, როცა ჩვენ „მგზავრის წერილებს“ ვაანალიზებთ, რუსული და ქართული ლიტერატურის წინამავალ ტექსტებთან არსებული ინტერტექსტუალობა უნდა განვიხილოთ, რადგანაც იმ დროს კავკასია და საქართველოს სამხედრო გზა განსაკუთრებული ლიტერატურული ტოპოსი იყო.

ინტერტექსტუალობას ილია „მგზავრის წერილებში“ პაროდიისა და ირონიის სახით წარმოადგენს და ამით რუსულ კოლონიალიზმსა და ორიენტალიზმს საყვედურობს. თუმცა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ის, რომ ილიას პაროდიული და ირონიული დამოკიდებულება არ ნიშნავს მკაცრ წინააღმდეგობას რუსეთისგან, რადგანაც, ჰატჩინონის გარკვეული თეორიის თანახმად, პაროდია ორიგინალურ ტექსტს კი არ უარყოფს, არამედ აღიარებს. „პაროდია, მისი ირონიული „ტრანს-კონტექსტუალიზაციური“ და ინვერსიული გაგებით, წარმოადგენს განსხვავებულ განმეორებას. ძირ ტექსტსა და მასზე დაფუძნებულ პაროდიულ ნაწარმოებს ერთმანეთისაგან აშორებს კრიტიკული მანძილი, ჩვეუ-

ლებრივ ირონიით მინიშნებული კრიტიკული მანძილი (Hutcheon 1985: 32). ასეთი ხასიათი პაროდიას თუ აქვს, მაშინ მისი მანიფესტური ხასიათის მქონე ნაწარმოებები „მგზავრის წერილებიც“ გარკვეულწილად გვიჩვენებს, რომ ილია კოლონიურ ვითარებასაც არ უპირისპირდება სასტიკად, არამედ ჯერ მის არსს აღიარებს და მერე „კრიტიკული მანძილით“ პაროდირებს და აკრიტიკებს. ასეთი ინტერტექსტუალობითი გაგება გვაძლევს კოლონიზატორი ერისა და კოლონიზებული ერის დიქოტომიური მკაცრი დაპირისპირებისგან, რომელსაც მოჰყვება ის დასკვნა, რომ კოლონიზატორი ავია და კოლონიზებული კი კარგი. ეს დიქოტომიური გაგება აღნიშნული ორიენტალიზმის დიქოტომიასთან ერთი და იგივე დამოკიდებულებაა. პოსტკოლონიურმა შესწავლამ ამ ორთა შორის არსებულ სათუთ და რთულ ურთიერთქმედებაზე უნდა გადაგვატანინოს ყურადღება.

კონკრეტულად, ილია, პაროდიათა საშუალებით, რუსეთის ჩამორჩენილებას ევროპასთან შედარებით აკრიტიკებს. მაგრამ, რასაკვირველია, ამით არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ, ილია სასტიკად ეწინააღმდეგებოდა რუსეთს. საყურადღებოა ის, რომ იგი რუსეთთან საქართველოს ჩამორჩენილობაზეც მიგვანიშნებს პოვოსკის ეპიზოდში; როცა ცხენებმა პოვოსკა ვერ დასძრა და მგზავრმა ფრანგ მეგობართან ერთად იცინეს, იამშჩიკმა მას გაუხსენა, „შენც ეგრეო“. ამ ჩამორჩენილობის ამოცანის გადასაჭრად ილია ევროპური (და რუსულიც) პროგრესული ცოდნისა და განათლების პეტერბურგიდან გადამტანის როლს თამაშობდა. ამ ფაქტს, რომელიც მინაშვილის ნათქვამიდანაც დადასტურებულია, დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას ვაფასებთ: „მართალია „მგზავრის წერილებში“ ილია ჭავჭავაძე თავს ესხმის რუსეთის იმპერიულ ზრახვებს, მის უგუნურ ჩინოვნიკურ მმართველობას, მის შოვინისტურ მისწრაფებებს, ილია ჭავჭავაძეს არასდროს არ ტოვებს ობიექტურობის გრძნობა, იგი შესანიშნავად იცნობს რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციას, რუსეთის დიდ ლიტერატურასა და კულტურას და სათანადოდ მიუზღავს მას ყველგან, სადაც ამის საშუალება მიეცემა და ბუნებრივია აქაც, ამ თხზულებაშიაც, როცა ჯერ თხზულების დასაწყისში გატაცებით საუბრობს იმ ოთხი წლის მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც მან რუსეთში გაატარა „ჭკუის სავარჯიშოდ, ტვინისა და გულის მოძრაობის მისაცემად“ (მინაშვილი 1995: 363-364) და ამ რუს თანამოაზრეებთან გაზიარებული ევროპული ცოდნით იგი ბედავდა კოლონიზაციისაგან საქართველოსა და ქართველ ხალხის სხნას, რომლებიც „მგზავრის წერილებში“ ლელთ ლუნიას პერსონაჟითაა წარმოდგენილი. „მგზავრი, თერგდალეული ინტელიგენცია, რომელმაც „უცხოეთში“ (პეტერბურგი, მისი უნივერსიტეტისა და არა „იზლერის ბაღების“ სახით, ჩვენთვისაც ევროპაში, ანუ ახალ დროში „გაჭრილი ფანჯარა“ აღმოჩნდა, ვიდრე საკუთარ უნივერსიტეტს დავაარსებდით) შეიძინა სამშობლოს „გულისტკივილის მომარჩენელი“ „ახალი სათქმელი“ „ღვიძლი სიტყვა“. „სიტყვა“ რომ „საქმედ“ ექცეს, მან ეს ცოდნა მოხევეს – ქართველ ხალხს უნდა გადასცეს. ეს სიმბოლიზებულია მათი შეხვედრითა და სამშობლოში ერთად სვლით“ (კანკავა 2003: 130-131). აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნოთ, რომ ილია არა უბრალოდ რუსეთს ეწინააღმდეგება, არამედ რუსული თანამოაზრეებისაგან იცნობს და იზიარებს იმ თვალსაზრისს,

რომ ევროპული ცოდნითა და განათლებული აზრით შეიძლება მიაღწიოს უკეთესი მდგომარეობისკენ. ამიტომაც „მგზავრის წერილებში“ იგი იყენებს პაროდისა და ირონიას, რომელის კრიტიკული მანძილიდან უცქერს რუსეთს, მის კოლონიალიზმსა და ორიენტალიზმს.

„ცნობილია, რომ XIX ს. ევროპაში, მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი წარმატებების გავლენით, საზოგადოებრივი პროგრესის რწმენის საუკუნე იყო. ასე ფიქრობდნენ საქართველოშიც. ასე ფიქრობდა ილია ჭავჭავაძეც“ (თევზაძე 2010: 5). ილიასთვის რუსეთის კოლონიზაციის კრიტიკის იარაღი ევროპული ინტელექტი და წინსვლის რწმენაა. კოლონიურ გარემოში ამ იარაღის შეტანის საქმეში ილიას წვლილი ძალიან დიდია. სწორედ ამ იარაღის გამოყენებით, ცარისტული რუსეთის კოლონიალიზმისა და ორიენტალიზმის ხუხულა მან პაროდითა და ირონიით შეარყია. პოსტკოლონიალიზმის თვალსაზრისით კი, რომელიც ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ევროცენტრიზმს მიიჩნევს, ჩნდება კითხვა: ხომ არ უნდა გადავავასოთ ეს ევროპული საფუძველი?

დამონშებანი:

Ch'avch'avadze, Ili. *Tkhzulebani Sruli K'rebuli Khut T'omad*: T'. I. *Leksebi, P'oemebi, Motkhroebi*.

Tbilisi: sakhelmts'ipo gamomtsemloba, 1937 (ჭავჭავაძე, ილია. *თხზულებანი სრული კრებული* ხუთ ტომად: ტ. I. *ლექსები; პოემები; მოთხრობები*. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1937).

Hutcheon, Linda. *A Theory of Parody: The Teachings of Twentieth-century Art Forms*. New York: Methuen, 1985.

Hutcheon, Linda. *Irony's Edge: The Theory and Politics of Irony*. London and New York: Routledge, 1994.

Ingoroq'va, P'avle. *Akhali Kartuli Lit'erat'uris Pudzemdebelni: Nik'oloz Baratashvili; Ili Ch'avch'avadze; Ak'ak'i Ts'ereteli*. Tbilisi: gamomtsemloba "merani", 1983 (ინგოროყვა, პავლე. *ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი: ნიკოლოზ ბარათაშვილი; ილია ჭავჭავაძე; აკაკი წერეთელი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1983).

K'ank'ava, Giorgi. „Ilias „Mgzavris Ts'erilebi“ da Bok'lis „Tsivilizatsiis Ist'oria Inglisshi“. *Sjani*, IV. 2003 (კანკავა, გიორგი. „ილიას „მგზავრის წერილები“ და ბოკლის „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“. *სჯანი*, IV. 2003).

Minashvili, Lado. *Ili Ch'avch'avadze: Tskhovreba da Shemokmedebiti Asp'ekt'ebis dakhasiateba*. Tbilisi: Tbilisis universitetis gamomtsemloba, 1995 (მინაშვილი, ლადო. *ილია ჭავჭავაძე: ცხოვრება და შემოქმედებითი ასპექტების დახასიათება*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995).

Layton, Susan. *Russian Literature and Empire: Conques of the Caucasus from Pushkin to Tolstoy*. Cambridge: Cambridge University Press, 1994.

Lermontov, M.J. *Polnoe Sobranie Sochinenii v 4 Tomakh*. M.: Izd. Pravda. 1953.(Лермонтов, М.Ю. *Полное собрание сочинений в 4 томах*. Т.4. М.: Изд. Правда, 1953).

Manning, Paul. *Stranger in a Strange Land: Occidentalists Publics and Orientalist Geographies in Nineteenth-Century Imaginaries*, Boston: Academic Studies Press, 2012.

Ram, Harsha. „Between 1917 and 1947: Postcoloniality and Russia-Eurasia“. *Are We Postcolonial? Post-Soviet Space: Annual Meeting of the American Association of Teachers of Slavic and East European Languages. Washington, D.C 29 December 2005. PMLA*, 121, 3(2006), 831-833.

Randolph, John. „The Singing Coachman or, The Road and Russia’s Ethnographic Invention in Early Modern Times“, *Journal of Early Modern History*, 11. 1-2(2007), 33-61.

Tevzadze, Guram. *Ilia Ch'avch'avadze da Tanamedrove Azrovneba*. Tbilisi: gamomtsemloba Carpe Diem, 2010 (თევზაძე, გურამ. *ილია ჭავჭავაძე და თანამედროვე აზროვნება*. თბილისი: გამომცემლობა Carpe Diem, 2010).

**Hayate Sotome
(Japan)**

Parody and Irony of “Letters of Traveler” from the Postcolonial Point of View

Summary

Key words: Postcolonialism, Orientalism, Ilia Ch'avch'avadze, Parody, Irony.

Russian orientalism studies reveal the facts that Russian poets and writers have created a lot of works about Georgia and Caucasus for centuries, perceiving the place as Russian Orient. For Russians, Georgia and Caucasus were the places inhabited by wild, violent and unenlightened people. When many scholars of Russian literature engaged themselves in the studies of Russian orientalism, they perceived Orient from Russian point of view only. This concept is criticized by H. Ram’s term, “Peter’s paradigm.” Now we must look at the paradigm from oriental point of view, regarding this thoughts and representations by oriental people.

Ilia Ch'avch'avadze is a national canonic writer of the 19th century Georgia, and his early prose work “Letters of a Traveler” have been estimated as his literary manifesto. This work illustrates all thoughts and feelings of a traveler during his travel from Vladikavkaz to Tbilisi, after leaving the university of St. Petersburg, and expresses the pain the author suffered from seeing the situation of colonized Georgia.

It should be noted that I. Ch'avch'avadze, who regards Georgian language as one of the gifts from the God and establishes the Society for Spreading Literacy among Georgians, uses Russian sentences written with Cyrillic script in the work. We should consider the style as the ironic signs defined by literary theorist L. Hutcheon. By employing the signs, the writer notifies the readers about his own ironic intention to criticize Russian orientalism and colonialism.

Ch'avch'avadze’s parody and irony derive from works of Russian poets: A. S. Griboedov’s “The Woes of Wit”; A. S. Pushkin’s “The Winter Load”; N. V. Gogol’s “Dead Souls”; M. J. Lermontov’s “The Hero of Our Time.” Using parody and irony, he discusses tsarist Russia’s colonial discourse; the main discourse to justify colonial rule is enlightenment of Georgia.

On the one hand, a Russian coachman described by the author in first chapter of the work is represented as an ugly and lazy man. One of examples of this ugliness is shown by his abusive words which are written in Russian. Here we can feel parody and irony of Gogol's "Dead Souls," in which a Russian coachman represents tsarist Russia's satisfaction. Also, the representation of Russian coachman in "Letters of a Traveler" is a parody of hierarchical structure of colonial situation. In general, it is often local people who play role of coachman when writers of Russian literature represent Caucasus. However, in Ch'avch'avadze's work, this structure is inverted; the traveler is Georgian and the coachman is Russian, and the former hires the latter.

Furthermore, in third chapter the traveler meets a Russian officer, who eloquently preaches to the traveler about the greatness of enlightened Russia and the need of enlightenment for Georgia. However, the writer ironically and humorously indicates the fact that the officer is not enlightened enough to look down on the traveler, who in fact studied at university and now is going back to his homeland. Readers can easily notice this fact not only from senseless conversation of the officer, but also from his two sentences written in Russian. One of them is a citation from Lermontov's "Hero of Our Time," the parody of which is made by the author in another part of this work as well, and in which a Russian officer looks down on local people. The other sentence is a Russian idiom. With the help of the idiom, concerning the "scientific invention" which prevents his servant from stealing sugar, the author emphasizes the officer's shallow understanding of European scientific thought.

Thus, Ch'avch'avadze criticizes tsarist Russia's colonial rule for the reason that, in comparison with Europe, Russia is clearly less enlightened. Therefore, its justification of colonial rule of Georgia becomes pointless. This argument is clearly shown in first chapter; when the traveler leaves Vladikavkaz, his new French acquaintance laughs at his Russian coach and coachman because of technological backwardness of the coach and ugly behavior of the coachman. Needless to say, this episode is ironically resonant with the colonial discourse the Russian officer delivers in third chapter. However, we should note that the object The French laughs at is the traveler itself as well.

Despite the fact that his work was banned from publishing due to his severe criticism to tsarist Russia, shouldn't think that he simply denies Russia's importance. Of course, he criticizes Russia's tsarism, colonialism and orientalism, but he simultaneously acknowledges the value of Russian culture, literature and thought of his contemporary progressive thinkers. He played an important role in bringing European (and Russian as well) progressive thought to Georgia in order to save Georgia(n) from colonialism. Iliia Ch'avch'avadze shares European thought with Russian contemporaries, that is the reason why he employed parody and irony; he tries to look at Russian empire from – in Hutcheon's phrase – "critical distance." When we read "Letters of a Traveler," we must consider this intertextuality, which is indicated by parody and irony.

Now there arises a question; should we reevaluate this attitude toward Europe from the postcolonial point of view, since Eurocentrism is one of the main problems of postcolonial studies.